ოქმი:**ო05. 3725210001**

თარიღი:**29/07/2025**

# ოქმი N 4

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

## საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2025 წელი, 28 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12. 30 -13.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ხ. ცერცვაძე, ბ. კილაძე, ნ. მახარაძე, ნ. ნადირაშვილი,
გ. კილაძე, დ.მჟავანაძე, გ. მდინარაძე,

სხდომის თავმჯდომარემპ. კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

## დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

**მომხსენებელი: პაატა კიღურაძე**
**თანამომხსენებელი: პ. ჭყონია**

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის საკითხზე. განაცხადა, რომ პროექტი მომზადებულია არსებული კანონმდებლობის დაცვით და ვადებში. აკმაყოფილებს საკრებულოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც აღნიშნა-ბიუჯეტი იზრდება 46 181,7 ათასი ლარით, ბიუჯეტი დაგეგმილი 43 400,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრება 89 581,7 ათასი ლარით. შემდეგ კონკრეტულად დაასახელა მთავრობის ის გადაწყვეტილებები, რომლის შესაბამისადაც გამოყოფილი იქნა დამატებითი ასიგნებები, ისაუბრა საკუთარი შემოსავლებით მიღებულ ზრდაზე, მუხლებს შორის თანხების ცვლილებებზე, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

დადგენილების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა- დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი